ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციული სამსახური
ADMINISTRATION OF KUTAISI CITY
MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **01-442226535**
თარიღი: **22/09/2022**

ადრესატი: ნაზიბროლა რეხვიაშვილი
პირადი ნომერი: 62011003485
მისამართი: ელ.ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com

მოქალაქე ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი, 2022 წლის 12 სექტემბრის განცხადების პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ ქუთაისში, დავით და კონსტანტინეს ქ.N18-ში მცხოვრები მოქალაქე ნათია სიხარულიძე-ბუხაიძის საცხოვრებელი სახლის ავარიული მდგომარეობის გამო, ოჯახის დროებითი საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების მიზნით მოქალაქე თეა თათელიშვილთან 2022 წლის 12 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N174, ხოლო 12 ივლისს N318, რომელთა მიხედვით ერთი თვის საიჯარო თანხა შეადგენს 315,8 (სამას თხუთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

აღნიშნული ხელშეკრულებების (N174, N318) შესაბამისად, საიჯარო ქირის სახით 12 აპრილიდან 12 აგვისტომდე ანაზღაურებულია 1263,2 (ათას ორას სამოცდასამი ლარი და ოცი თეთრი) ლარი ხოლო, 12 აგვისტოდან 12 ოქტომბრამდე ანაზღაურდება 631,60 (ექვსას ოცდათერთმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი.

ამასთანავე, ქალაქ ქუთაისში, დავით და კონსტანტინეს ქ.N20-ში მცხოვრები მოქალაქე ბესიკ გოგრიჭიანის საცხოვრებელი სახლის ავარიული მდგომარეობის გამო, ოჯახის დროებითი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველსაყოფად მოქალაქე გიორგი გამრეკლიძესთან 2022 წლის 5 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N161, ხოლო 5 ივლისს N316, რომელთა მიხედვით ერთი თვის საიჯარო თანხა შეადგენს 315,8 (სამას თხუთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების (N161, N316) მიხედვით საიჯარო ქირის სახით 5 აპრილიდან 5 აგვისტოს ჩათვლით ანაზღაურებულია 1263,2 (ათას ორას სამოცდასამი ლარი და ოცი თეთრი) ლარი ხოლო, 5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე ანაზღაურდება 631,60 (ექვსას ოცდათერთმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი.

რაც შეეხება ქალაქ ქუთაისის ისტორიული უბნის რეაბილიტაციის პროექტს, აღნიშნული ხორციელდება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

პატივისცემით,

პეტრე ადამაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია პირველადი
სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური
- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი